

29 1916 ა. 29


ფასი 12 კა.

რედაქციის აღმენი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

# მარტინი მათორახელა 22

იუმორისგ.  
უურნალი

ოჯახური დრამა



სამხონ „სახალხეთელი“. დმერთო ჩემო! როგორც ვხედავ  
უერონტინა აღარ ხუმრობს,  
„საქართველოს“ რედაქტორთან  
ეგზომ ხანგრძლივ როცა სტუმრობს.

ნეტავ მართლა თუ მღალატობს  
და მცვლის ურცხვად ბურეუაზე?!?  
აღარ ვიცი: მე, თუ იგი,  
რომელი ვართ სრულ კუუზე.

# თამარის აჩრდილი.

(დასასრული)

საღამო გამი იდგა. ქ. გორის ქუჩებს დიდი შზადება ეტყობოდა. დილა აღრიან ხალხი გარეთ გამოშლილიყო და ვიღასაც ელოდა. დიდად პატივურებული კორესპონდენტი „ობოლი“ ხიდის ყურზე იდგა და გამვლელ-გამომვლელს ფეხებში უყურებდა: ვინ რამდენ ნაბიჯს გადასძგამსო. სამეფო ქუჩაზე გორის მანდილოსნები, რიცხვით 10.000-დის დარაზმულნი ჩამწკრივებულიყვნენ. ამ საერთო შზადებას ხელს უწყობდენ გორის ვაჭრებიც. რაღაც არც ფარჩეულობა, არც ჩითები და სე გასინჯეთ—საქონლის ტყავიც-კი იღარ იშოვებოდა, მათ ე. ი. გორის ვაჭრებს ხალხისთვის გაეძროთ ტყავი და გარეთ გამოეფინათ. კლუბის დარბაზზე ელექტრონით გახალებული, ლამაზათ გამოიყურებოდა. ერთ კუთხეში „ფრაპსა“ თამაშობდენ, შეორეში „მაკაოს“. ადგილობრივ საზოგადოებას ბლობად მოეყარა თავი. საღამოს ცხრა საათიც გახდა. თამარის აჩრდილი უეკრივ კლუბის დარბაზში გაჩნდა და წარსდგა ადგილობრივ საზოგადოების წინაშე. ყველა ცდილობდა მისთვის თავი როგორმე მოეწონებია. მაღვე წარმოდგენაც დაიწყო და სცენაზე გამოვიდა ერთი პაწია ბავში, რომელმაც შემდეგი მშვენიერი ლექსით მიმართა საზოგადოებას:

„კაკაჩოსა სიციტლიტა  
კანა დაუმშვენებია,  
უორუიკის კარგი სტავლიტა  
ვაპა გაუხარებია.“

უორუიკის პაპა და მამა, რომელნიც იმ წუთში დიდი პატრიოტული გრძნობით იყვნენ გამსქვალულნი, სიხარულის ცრემლებსა ღვრიდენ, ხოლო საზოგადოებამ ნიკიერი ბავშვი მხურვალე ტაში ცემით დააჯილდოვა.

სცენას გამოვიდა ერთი ახალგაზდა მგოსანი, ესე ნ წლისა იქნებოდა, რომელიც თავის საკუთარ ლექსების წაკითხვას აპირებდა, მაგრამ გააღო თუ არა პირი, ელექტრონი ჩაქრა... თუმცა ელექტრონი ისევ აინთო, მაგრამ თამარის აჩრდილი აღარსად იყო. ქუჩებში-კი ისევ ურიაშული იდგა. „ნოჯი მიშ რამდენი ვიგულავე დღეს ულიცენ-

ზედ. დედა არ მომიკვდეს, ი იუნი უსტა— ეუნებოდა გიმნაზიელი ქალი გიმნაზიელ ვაჟს.

— „Ничего душка! დავისვენოთ. მეც ბევრი ვიკატავე. მაშ პროგულკაზე როგორ დადიხარ ხოლმე კლასნი დამასთან? წამო, ციდემ სკამეიკაზეუ!“—მოუგო ვაჟმა.

თამარის აჩრდილმა ყური მოჰკრა ამ ლაპარაკს და მწარედ ამოიახრა. დარაზმული მანდილოსნები ამ დროს „სახაიეში“ ისხდენ და გაცხარეულნი „პასკებზე“ კამათობდენ. აკერ გამოჩნდა თამარის აჩრდილიც. ქ-ნი ანიქა, ვერიქა, სონიქა და სხვა და სხვა... მოწიწებით წარსდგნენ მის წინაშე და სათითაოდ რევერანსი გაუკეთეს. აჩრდილი გაკვირვებული უყურებდა ამ სურათს და ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშანვდა ყველა ეს. ბოლოს აჩრდილმა გაიგო „მანდილოსნის“ დაარსების დიალი მიზანი და მოისურვა საზოგადოებაში ჩაწერა. მაგრამ წესდების ძალით იგი არ იქმნა მიღებული, რაღაც თამარ მეფის პირველი მეუღლე—გიორგი რუსი იყო ტომით, ხოლო მეორე—დავით სოსლანი—ოსი. გულ ჩათხრობილი გამოვიდა თამარის აჩრდილი „მანდილოსნიდან“ და გასწია გორიდან შორს... იმერეთისკუნ...

თქვენ, ბ-ბო, უეჭველია გეცოდინებათ, თუ რა მშენიერ სანახაობას წარმოადგენს ქ. ქუთაისი —გაზაფხულზე. პატარაძალივით მორთული იგი ყველას თავისკენ იჩიდავს. ბულვარზე აუარებელ ხალხს თავი მოეყარა და გულის ფანცქალით ელოდა დიდებულ აღამიანის მოსვლას. გამოჩნდა აჩრდილიც და ხალხი შუაზე გაირღვა. გაბედულათ და ამაყათ წამოდგა წინ თეთრ რაშე მჯდომარე ცნობილი ლექტორი გრიგოლ რიბაქიძე და შემოსახა „სირენას“ სიმღერა. მას მოჰკრენ პაოლო იაშვილი და გაფრინდაშვილი, რომელიც, უკაცრავო პასუხია, სახელმისამართის შემსხდარიყვნენ და ცისფერი ყანწებით შემპანიურსა სვამდენ. ხალხი მოუთმენლად ელოდა მათ „პირველ-თქმას“. პაოლო იაშვილმა აილო ამაყად მაღლა თავი და დაიწყო შემოეგი ლექსი:

„წითელი ხარი“.

ყვითელი რქებით  
წითელი ხარი,  
ცხელი და ჩქარი  
ვადიდოთ ქებით.

ცეცხლიან ყვავილებში მოჩენება  
· . . . . წითელი  
ცხელი ცახცახით ელის,  
რომ ქვეყნის ამღერება  
იქნება მზის ნადიმი, შუა დღის  
· . . . . მშვენიერება.

ხარსა ხარი მისდევს მზესთან  
ვინ დაითვლის წითელ ხარებს?  
ჰაერს ფრთები აუკვნესდა.  
ყველა მზისკენ! ყველა მზეში  
მიწა ველარ გაგვახარებს!..

ამ მშვენიერმა ლექსმა დიდი შთაბეჭდილება  
მოახდინა საზოგადოებაზე. ასე გასინჯეთ თვით  
სახელგანთქმულმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემაც  
ვერ მოითმინა და ჰაერში კოცნა გაუგზავნა მის  
ავტორს, ხოლო პატივცემულმა გაზეთმა „ჩვენმა  
მეგობარმა“ მოათავსა იგი თავის ფურცლებზე.  
რამდენიმე წუთის შემდეგ იქ გაჩნდა რუსეთის დი-  
დებული მგლისანი კოწია ბალმონტი. მოწიწებით  
მოიყარა მან მუხლი თამარის აჩრდილის წინაშე და  
ექსპრომტად წარმოსთქვა:

„Какъ нѣжныи лепетъ колыбели,  
Какъ странныи широкъ птичихъ крылій,  
Люблю содружныхъ Руставели  
Гаприндашвили и Яшвили“.

ბ-მა გაფრინდაშვილმა კმაყოფილად ჩახველა  
და მხრები ამაყად მაღლა ასწია. ბოლოს წინ წა-  
მოდგა ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მგლისანი გრი-  
შაშვილი, რომელიც ამ დროს შემთხვევით ქუთა-  
ისში იყო, და მიმართა თამარის ქოშის ლურსმანს  
შემდეგი ლექსით:

ქოშის ლურსმანს, ცისფერ, სოსანს  
ვეამზორე, ვენაცვალე,  
მითხარ, მითხარ ეგრე მალე

რად გამწირე, რად გამცვალე?...

რუსთაველის ქებას ჩვეულს ვერაფრად ესია-  
მოვნა ეს „ხოტბა“ და ისეთი მრისხანედ შეხედა  
მგლისანს, რომ ლექსი შუაზედ გააწყვეტინა. თამა-  
რის აჩრდილი დიდხანს უყურებდა გაოცებული  
ამ სურათს და ფაქტობდა: ნერაც გამაგებინა რო-  
მელ ენაზე მელაპარაკებიანო. აჩრდილმა ნალვლი-  
ანი სახით გატახედა საზოგადოებას და აგრძნობინა  
ყველას თავის გულის წყორძა. შეშინებული გრი-

გოლ რობაქიძე თავისი თეთრი ჩაშით რიონში გა-  
დავარდა, ხოლო გაფრინდაშვილი სადღაუ გაფ-  
რინდა...

თამარის აჩრდილმა ჩაქნია ხელი და გამოს-  
წია ისევ ქართლისკენ...

მაისის ღამე იყო. ერთ მიურუბეულ სოფელს,  
რომელიც მდებარეობს ქართლის გულში, ტკბი-  
ლად ეძინა. ვარსკლავებით მოჭედილი ცა თავს  
დაჰქათქათებდა დედა-მიწას და უხვად უგზავნიდა  
მას თავის ზეციურ მაღლას. დაბლა ხევში მონარ-  
ნარებდა ანკარა წყარო და ტკბილ ნანას უმღერდა  
მთელ მიდამოებს. ბუნებას ეძინა... არ ეძინა მხ-  
ლოდ საწყალ ქიტესას ოჯახს.

„კარგი, დედა-კაცო! რით ვერ გაათავე  
ტირილი? არ მოგწყინდა მაგდენი მწუხარება?“ —  
ეუბნებოდა ქიტესა თავის მეუღლეს მაგდანას.

— „შეილო, გოგია, შენ გენაცვალოს დედა.  
ნერავ მე მომკვდარიყავ და შენ კი ცოცხალი ყო-  
ფილიყავი!“ — მოსთქმებიდა საბრალო დედა ტირი-  
ლით. გოგია, მაგდანას ოცი წლის ვაჟი, მთელი  
სოფლის თვალ-მარგალიტი ბრძოლის კელზე მოგა-  
ლათ. აგერ თოთქმის ერთი წელიწადი შესრულდა  
და განუწყვეტლივ იმდუღრება საბრალო დედა.

— „დედაკაცო! მაშ ჩეენ წინაპართ რაღა  
უნდა ექნათ, რომ ათი-ათასობით იულიტებოდენ  
სამშობლოს გულისათვის?“ — შეეკითხა ქიტესა.

აქ ველარ შეიმაგრა თავი მაგ-  
დანამ, შესწყვიტა ლაპარაკი და გაღმოღვარა მდუ-  
ღარე ცრემლები. გოგიას სიკედილის შემდეგ ლარიბ-  
ლატაკ, ძონძებში გახვეულ ქიტესას ოჯახს სანუ-  
გეშებლად დარჩენდა პატია არჩილი, ერთი წლის  
ვაჟი გოგიასი. არჩილის დედა გოგიაზედ დარდს  
თან გადაჰყა და დარჩა ბაეშვი ობლად.

— „აღამიანო! შენც რომ თავი მოიკლა, მაგ  
ბაეშვის რალას ეუბნები? ხედავ როგორ მავხუცდი?  
განა მე შემიძლია მაგის გამოზრდა? შენ ეხლა,  
მაგ ბავშვისათვის უნდა იცოცხლო. გაჩუმდი, გეყო-  
ფა ტირილი...“ — ეუბნებოდა ქიტესა მაგდანას.

მაგდანამ ტირილით თითქოს გული მოიჯერა.  
მხურვალეთ ჩაიკრა თავისი შვილის შვილი, არჩილი  
გულში და დაუწყო მას კოცნა. ხმაურობაზედ გა-  
მოღიძებულმა ბაეშვია ისევ ტკბილად ჩაიძინა.  
დამშვიდებულმა მაგდანამ გადაარწო აკვანი და  
დაიწყო ღილინით „ნანა“. ნაღველი და მწუხარებას,

წარსულის ტკბილი მოგონება და მომავლის სანეტაზო იმედი, — ყველა ეს გრძნობანი ამ სიმღერაში ერთად შეზავებულიყვნენ. ამ დროს თამარის აჩრდილი ოთახის ბნელ კუთხეში იღვა და ყურს უგდებდა მწუხარებით სავსე სიმღერას. დედის ცრემლებს და სევდიან ნანას მისი ნაზი გული ძალზედ იყდელებინა და გამოეწვია მასში მუსურგალე თანაგრძნობა. თამარის აჩრდილი თავს დაადგა აკვნიან ბავშვის და ათრთოლებულის ხმით წამოიძახა: „ძლივს... გმადლობთ შენ ღმერთო, რომ დამანახვე იდმიანის ტანჯვა და გამაგონე მშობლიური ენა... რვა საუკუნის ლამის წყვდიადში კიდევ ბეჟუტავს მცირე ნაპერწკალი... კიდევ ცოცხლობს ჩემი საყვარელი ერი... ღმერთო, შენ გაზარდე ეს პატია ყრმა... შენ გააღივე მის გულში ღვთიური ნაპერწკალი!.. ჯერ ეს სიტყვები არ გაეთავებინა თამარის აჩრდილს და მას თვალთაგან ორი მარგალიტი ცრემლი ჩამოსცივდა. ქიტესამ და მაგდანამ გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს, მოიფშვნიტეს თვალები, უნდოდათ ეხილათ უცხო სტუმარი, მაგრამ მათ და თამარის აჩრდილი სამუდამოთ გამჭრალიყო.

ლახტი.

## „ნოე და კიდობანი“

(ძევლი აღთქმა ახალის გაში).

ორმოცაც ერთად რომ იწვიმებდა  
დღეი და ღამე,  
ვით ფოთში მცხოვრებს, იქვი არ შემდის  
ეს მე ვიწამე  
და თუ ხმელეთი არარატს გარდა  
მოსჩანდა ძვირათ,  
არ გაიკვირვებთ თუ გიცხოვრიათ  
რიონის პარათ.  
საღაც ორი დღის ცუდი ამინდიც  
საკმარისია,  
რომ შეასრულოს რიონმა კვალად  
წარლვნის მისია  
და კიდობანისაც ააშენებდა  
იმ დროში ნოე  
ამის საბუთი ნავის შშენებელ  
ხუროსთან ვპოვე,  
რომელიც ამბობს გაღმოცემიდან  
თითქმ ჯინაზე,

რომ: „კიდობანი ნოემ ააგო  
კაპარჭინაზე“ \*)  
აქვე შეჰქრიბა სანჩხვე-სამრავლო  
ცხოველთა ჯოგი  
(თუმც თითო წყვილი) მაინც კიდობანს  
გადარჩა ზოგი,  
საღაც კამეჩი ბლაოდა თურმე  
„ნოე-ნოეო!  
რატომ მეც ბინა შენს კიდობანში  
ვერ ვაპოვეო“.  
ჩვენ ვიცით ნოვემ მიმდევარ კამეჩს  
რომ შეუცადა,  
მარა სისწორით არ ვიცით იგი  
როგორ და საღა.  
თქმულება ამბობს „არარატის მთის  
ახლო მდელოში“  
მარა ჩვენ ვფიქრობთ ეს იყო ნამდვილ  
„საქართველოში“.  
რაღაც ჩვენ ვიცით ნოვე იქ დათვრა  
ყურძნის წვენითა,  
ლვინის წყურვილით დიდი ხნით ძნელათ  
მოსათმენითა  
ვითარცა ქართველს „საქართველოში“  
ვით მოეთმინა,  
ობლათ დაეგდო „ცა ფირუზ ხმელეთი  
ზურბულეტი ბინა“?  
თუმც სიმთვრალეში უფროსმა შვილმა  
მას დაიცდი ბრალი  
პატივი არ სცა, არ შეიბრალა  
მამა დამთვრალი,  
დასცინა კიდეც იმის სიშიშვლეს,  
სივალახესა,  
შეშლილათ სოფლიდა უწინდელ სპეტაკ  
მამის სახესა.  
მარა უფროს ძმას აღარ მიჰება  
„იაფეტმა“ \*\*)  
თან ტანსაფარით შემოსა ლოთი,  
შიშველი მამა  
და სთქვა: „თვით მომქმედს მაშინ ეკუთვნის  
ძრახვა და ქება,  
როცა ექნება ფხიზელი, სწორი  
ურყევი ნება“.  
ბუტუნა.

\*) კაპარჭინა—მდინარეა ტოლში.

\*\*) იაფეტი—ნოეს უმცროსის შვილი.



## მესტვირული

(პოემა შესახებ სოსუმისა)

I

### საზოგადო მიმოხილვა.

ეჭ, ერთხელ კიდევ ჩავბერავ  
სტეინს, მდეუმარს კაი ხანითა,  
დავუკრავ, დავალილინებ  
ქარაგმულ ამოცანითა.

აქ ერთს ყურს კწვდები,  
იქ იმის უნდა დავზევერო ქოჩორი,  
ზოგს შვენის ღილყურაობა,  
ზოგია მისი ჩოჩორი.

დიდი ყურები დიდ თავზე  
დიდი განძი და ჩინია,  
თუნდაც ის აზრით და გრძნობით  
იყვეს უბრალო ფინია,

უყეფდეს, თუმცა არ ჰქონდეს  
შიში ძლიერი სპილოსი;  
იკოდეს ძალაც და ფასიც  
თავისი ყეფის კილოსი.

დიდი ყურები, დიდი რქა.  
დიდი დინგი და ღიპები,  
ი რითაა საჩინა  
ჩვენი ცხოვრების ტიპები!..

II

### განხილვა ტიპური.

რაღათ გიმსჯელოთ საერთოდ?  
მოვიგდოთ ერთი მათგანი,  
ი თუნდ იგი წვრილფეხა,  
რომ დაიის, როგორც ბატყანი.

არც ყურით არის ცნობილი,  
არც რქებით, არცა დინგითა,  
თუმც არრის მიმხედავია  
თავისი ცხვირის იქითა.

სამაგიეროთ ვუკურთხე  
მე იმას ენის ჭახრაკი:  
ვერ გაცოცხლდება ვერდა რა  
იმის ძმარ-ცეცხლზე ნახრაკი.

გველსაც აჯობებს, მელასაც  
ამ იარალის ხმარებით,  
წელში კი მოხრილი არის  
სხვისი შლეიფის ტარებით...

ეს დინგოსანიც მოვიგდოთ  
ეგზომ მოყვარე ნეხვისა,  
მას ხომ არა სწამს, თვინიერ  
თვის ყბა-კბილებით ცეხვისა.

ქონი დაედო, რა ქონი,  
ვერ ზიდავთ ათი დროგითა!  
კურთხეულია ეს შხარე  
მაგისთანების ჯოგითა.

მაგაზე არც ქარაგმა სჭრის,  
არც სიტყვა მაგარ-მაგარი,  
ზურგის მასსაეით თუ რომ არ  
გავაყრევინეთ ჯაგარი!..

აგერ თხაც მოპაკი-პუკობს  
რქა მოტეხილი, ტიალი,  
მაგისი საქმე ესაა:  
ტროტუარებზე ყიალი.

არც დედა უნდა, არც მამა,  
არც შეკლი, არც დააძმობილი  
დაპყვება, ვინც მისებრ თხაა  
და სიტუტუცით ცნობილი.

პეტელი სიტყვა ჰგონია,  
ყიალი—საქმის კეთეთება;  
მაგისთანებსაც ხან და ხან  
უნდა ვაჩვენოთ ფეთება...»

\* \* \*

და ასე უსაზღვრო არის  
ტიპთა სხვა და სხვა ფერობა;  
მე სულ არ მაინტერესებს  
მათი პირადი მტერობა,  
მხოლოთ საქვეყნო საქმესა  
როცა ესნიც ჩემობენ,  
კრებიდან ისევ კრებისკენ  
მირბიან, მიმოქვენობენ,  
აი, აქ ჩემი მათრახით  
გზა რომ მოუჭრა, წესია,  
რომ აქ მე მოვამყევინო,  
რაც მას იქ დაუთხესია!...

—

თქმა მუნ წესებულებათა ზედა.  
ახლა აქ ბანკსაც მიენედოთ  
საურთიერთო ნდობისა,  
ბევრსა აღეძრა სურვილი  
ამ ბანკში მბრძანებლობისა;  
საბუთად გამოიყენეს  
მუნ საქმეთ აწეშილობა  
და გამგის სავარძელზედა  
ურთ-ერთს დაუწყეს კილობა.  
აღარ დაინდეს ჭაღარაც  
პატიოსანი მშრომელის.  
(ასეთი არის ბუნება  
გაპირველების მდომელის).  
მიზეზს კი ხელიც ვერ ახლეს  
საქმეთა მუნ არევისა,  
„ცხენს ვეღარ შესწედენ,  
უნაგირს დღე გაუთენეს მტერევისა“...

—

ქალაქის თვითმართველობის  
ავათ არ მსურდა სსენება  
და ეს არც მომინდებოდა,  
თვითონ მას რომ არ ენება.  
მართალი არის, მგონისგან  
დიდისა სიბრძნით თქმულია;  
„რასაცა გასცემ, შენია,  
რაც არა, — დაკარგულია“,  
მაგრამ სიუჩეით გაცემა  
იმ შემთხვევაში კარგია,  
როცა ის ისევ გამცემელს  
ასე თუ ისე არგია.

მაგალითად: საყდრის ახლო  
ბალი გქონდა საელემო,  
შენ რომ ვერ მოისარგებლე  
სხვას მიეცი მმაო ჩემო!

ის საბავშვო სააღმზრდელო  
ბადათ უნდა მოგეხმარა,  
ამისთვის რომ ფული მოგცეს,  
მსგავს საქმეზე ორზეც კმარა!  
შენ მაინც სხვას გადაეცი  
ბალი იგი დამამშვენი,  
იმას შენგან არ ელოდა  
ქალაქი და ზღვა სპა შენი.

და ახლა ამ ღვაწლისათვის,  
გთხოვ, მიიღოთ ჯილდოთ ესა:  
გულდაწყვეტილ ბავშვთა წყველა,  
მათი მოთქმა, მათი კვნესა!..

\* \* \*

თავშესაფარი დარიბთა  
გაგაჩნდა ერთად-ერთია,  
საქმე რომ კეთილი იყო  
ამის მოწამე ღმერთია.  
აიღე, ისიც სხვას მიე,  
როგორც მაზარა ძევლია,  
ჭკუას თუ შესწყერ, გულს თფილი  
გრძნობა რათ გამოგელია!

\* \* \*

თავმან შენჩნ გაგიხადა  
სათამაშოთ, როგორც ბურთი.  
მომწონს მისი პროექტები  
და სიტყვების ფართი-ფურთი.

თუმცა ჯერ ამ პროექტების  
კაი ბოლო არ ნახულა:  
ყველა მყისვე ჩამომზრალია,  
რა წამშიც კი დასახულა.

ზოგი სულაც გადაგვიტანს,  
ღმერთმა თუ არ ზოგაშორა,  
ამის წინათ, ლამის ერთმა,  
მთლად ქვეყანა ააშმორა.

მას თუ ჰკითხეთ, დიდი არის  
მისი სიტყვა, მისი ღვაწლი,  
შენ კი არც სიტყვა მოგიწევს  
და არც საქმე, მას თუ აცლი.

ან კი სხვას რა გაეგება?  
 ან რა ხმა აქვს, თუ გინდ, ხმოსანს?  
 ყველაფერში დაეთანხმეთ  
 სიტყვისა და საქმის მგოსანს,  
 მაშინ თქვენი და ქალაქის,  
 ქვეყნის საქმეც წავა ისე,  
 როგორც გამხმარ მწარე კვახში  
 წყაროს წყალი მოკისებუ..

ახლა მინდა მე ის ბალიც  
 გინახულო ბოტანიკის,  
 თუ მელირსა პირის ჭვრეტა  
 მისი ღიღი ნაჩალნიკის.  
 უნდა ვკითხო: „აფხაზებზე  
 როცა სწერდი ისე მრუდათ,  
 რათ სახვდი მთელ ნაციას:  
 ქვევრში მთხლეთ, თუ ფქვილის გუდათ?“.  
 მართალია, რომ „მარკოვიკ  
 სტაფილოა სხვა ენაზე...  
 ხალხი ფარათ გუყოლება,  
 მგელ-ფაცებს უკ გაენაზე,  
 მაგრამ მუდამ ქოქის წყალი  
 რომ ეზიდოს, ხდება ძნელად:  
 ისეთ რამეს ნუ მოჭოშავ,  
 ბოლოს დაგრჩეს სანანებლად!“.

\* \* \*

და ამ პირველთან თანხმობით  
 ოტყოდა სხვაც, რატომ არა:  
 „თითო აფხაზსა მზათ აქვსო  
 ხუთას-ხუთასი ტომარა,  
 საცაა, შეუდებიან  
 ავაზაკობას, ძარცვასო,  
 ქალაქს ზე ჩამოგვანგრევენ,  
 არ დასტოვებენ ქვას-ქვასო!“  
 მაგრამ გაუსხლტათ კოვზები  
 და ჩაუცვიდათ ნაცარში:  
 არ ახდა იგი არც ერთი,  
 რაც მათ ეწერათ დავთარში.  
 აწ თავსაც კი მართლულობინ,  
 ალბათ კვლავ ხალხის შიშითა..  
 „არ გათეთრდება ყორანი,  
 რაც უნდა ხეხოთ ქვიშითა!“.

და დასასრულ მე სოხუმელ  
 ქართველ ქალებს ვაძლევ სალამს,

მოწიწებით თაყვანსა ვსცემ  
 მოქმედების მათის ალამს!  
 საჩაის მოწმე გავხდით,  
 ჯერ სოხუმში არ ნახულის;  
 ეს პირველი მერცხალია  
 ქალთა პირველ გაზაფხულის!  
 და იმედი გულს გაშლილი  
 იქარგება ათას ფერათ!  
 რომ ამაში თქვენც დარწმუნდეთ,  
 თვით მობრძანდით მათ საშერათ!  
 ერთობის და შეთანხმების  
 თქვენ აქ ნახეთ მაგალითი,  
 და თუ ჩემი არ გამართლდეს,  
 მომიქნიეთ ნიშნით თითი!  
 ვაშა! ვაშა! მანდილოსნებს.  
 ვაშა! ვაშა! ქართველ ქალებს,  
 გაუმარჯოს თქვენს დასაწყის  
 და მომავალ იდეალებს!  
 დევ, ვისაც რა უნდოდეს,  
 ის სთქვას თქვენზე, ის იფიქროს,  
 გულბოროოტმა დე თვის გულში<sup>შ</sup>  
 შურის ცეცხლი გესლით იქროს!  
 ან და საქმე საპირადო  
 გაუსწოროს საზოგადოს.  
 თქვენთან ვერას ვერ გახდება,  
 თუნდ სულიც ამოიხადოს.  
 ხალხს თვითონვე შეუძლია  
 აყისა და კარგის ცნობა.  
 მაშ, წინ მედგრათ! თქვენთანაა  
 მთელი ჩევნი თანაგრძნობა!..

მესტვირული დავასრულე.  
 სტვირიც უნდა მოვიდერო,  
 თუ რომ ვინმე თავს დამესხა,  
 იმით უნდა მოვიგერო.  
 არ გაპბედოთ ჩემზე მოსვლა  
 და გუდა არ გამიბეროთ,  
 თორემ სტვირი კვლავ დაუკრავ  
 და მეც მზათ ვარ სასიმღეროთ!  
 თვით კი არ მსურს იერიში  
 და არც სხვისი წაკიდება,  
 რაც ვსოდე, ის თუ შემარჩინეს,  
 მალო ეშმაქს და დიდება!..

ონისიზე.



მიჰქონდათ ციცხვი და იძახოდენ: „ხაბარდა!!!“



შევხედოთ, რომ კოვზი ნაცარში ჩავარდა.

\* ) „წ“ აღნიშნავს არა „წელს“ არამედ „წონას“. \*\*) „სტ“ აღნიშნავს არა „სტატიას“, არამედ „სტერლინგს“.



რუსეთის საიმპერატორო თეატრის დამსხურებული  
მსახიობი აღ. სუმბათაშვილი—იუჟინი.

შარეზ შ. ქექოძისა.

## შ ა ლ ა ლ ა

შორს დებულია გრამატიკაში,  
მოკლე ნიშანი ლაპარაკშია,  
რომლითაც ვამცნობთ ერთი მეორეს,  
რომ მორიდება გვინდა თქმაშია,  
უკლისად გვქონდეს, რადგანაც ორი.  
ანგანი არის მთლად იმაშია.

რჩეულ ვარსკვლავთა კრების სახელი,  
რომელიც ცველას გაგეონება,

ერთად გვჭირია შარადისთვინა,  
ზეცას მიაპყარ თვალი, გონება.

მაგრამ ამით ვერ უშველით,  
კიდევ გვმართებს სიარული,  
მოიგონეთ კაცი წმინდა,  
ლოთის მოშიში, მოყვარული,  
რომლის სახლი ჯალიმისით  
წყალს დაქონდა დაფარული,  
არარატის მთაზედ შესდგა,  
მოხდა დიდი სასწაული.  
დავაწყვეტოთ გამოკლებით,  
უკანიდან მივყოთ ხელი  
და ნურისა უკაცრივათ,  
კიდევ გვექნეს საძებნელი.

შორს ნუ მიხვალთ, ახლო არის,  
კაცის ტანის ნაწილია,  
ორგანია ჭკუის, აზრის,  
საცნობელად ადვილია,  
ნახევარი ბოლოდანა  
მოვსწიოტოთ, ვით ყვავილია  
და შარადაც გავათავოთ,  
შევისრულოთ წადილია.

ერთ ღროს ხელთ ეპურა „შარადას“  
ძალა, უფლებაც—დიდია,  
მაგრამ მოულოდნელად  
ჩაუტყდა ბეჩავს ხილია...  
სიკვდილი ებრძების სიცოცხლეს  
ორივე ბეწვზე ჰქიდია.

ერთობა.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(ბუტუნის სააგენტოდან)

ფოთი. რკინის გზის სადგურის უფროსს ზნე-  
ობრივ ავათმყოფობათა გამოჩენილმა ექიმმა ბ-ნ  
„ბახუსიან ცმა“ განკურნების მიზნით გამოუწერა  
წმინდა კახური ღვინო შემდეგის დიეტით: დილით  
ნახევარი ვეღრო, შუადღით ორი მესამედი ვეღრისა  
და სალამოთი კი ერთი ვეღრო. ავათმყოფი საესებით  
ასრულებს ექიმის დარიგებას და იცავს „წამლის

დიეტის“, რაც ძლიერ უძნელდება და წაშლის (ე. ი. ღვინის) მიღებიდან მეორეთ მიღების დრომდე თითქმის უგრძნობლათ არის. თუმცა სიარული შეუძლია. ამბობენ ვონებასთან ერთად მუხლებიც რომ წარმომია აღნიშნულ წამალს უმჯობესი იქნებოდა, რადგან გონება დაკარგული აგადმყოფი წმლის მიღების შემდეგ საჭირო ადგილის მაგიერ პირველი კლასის ბუჟეტში მიღის და კაბინეტის მაგიერ ქალტაშიო<sup>\*</sup>). დიდათ უშლის ხელს ავათმუოფ უფროსს თავის თანაშემწე სადგურის ბაქანზე საჭირო წარმოდგენების მართვაში, რომელიც დასდევს და ევედრება: „სტილო პილიომო“.

ამავე უფროსმა ორი „სტოროუის“ თანხლებით იერიში მიტანა ბაქანზე ჩამწკრიკებულ მერცხლების ბუჟეტშე და საცხებით დაანგრია ორასი სანგარი მერცხლებისა და დახოცა 500-მდე ბარტყები, საწყალი დედა მერცხლები დედობრივის თავგანწირებით ებრძოდენ გააფთებულ მტერს, რომლის დროს რაოდენიმე დედა მერცხლებიც უეჭირენ შვილებთან ერთათ. ბრძოლამ ორი საათი გასტანა, გამარჯვებული უფროსი მხიარული დაბრუნდა, რომელმაც განაცხადა „მერცხლები გერმანიის ქვეშევრდომები იყვნენ“.

**იქიდანებ.** ხე-ტყის ქარხნის მუშებშა გაფიცის ზროს „ხაზინთა წინააღმდეგ“ თავდადებული ბრძოლისათვის ნიშანათ „პატივისცემისა“ „მუშა“ კოშია თედორაია სამუდამოთ გაანთვისუფლეს ფიზიკურ შრომისაგან და დაადგინეს ეძლიოს პენსია იმ ქარხნისაგან, რომელშიაც თედორაამ დაიმსახურა არა ჩვეულებრივ „მებრძოლის“ სახელით. აღნიშნულ ქარხნის ამხანაგობა სასტიკათ ეწინააღმდეგბოდა ნ დღის განმავლობაში მუშების ზემოაღნიშნულ დადგენილებას და მოითხოვდა თედორაიას უფრო მუშის (მხეველის) ადგილით „დასჯას“ მარა, მუშების არტილერიამ (გაფიცვამ) შეაჩერა ქარხნის ყველა მანქანები და ხაზინებიც დანებდენ თედორაიას „პენსიაში“ გაშვებას.

**იქიდანებ.** სამიკიტონების „რევიზორმა“ ა. იმედეიშეილმა მიკიტონ ალავიძის შეჩერით (ალბათ სხვა მიკიტნების თანხლებითაც) ნორმალურ დასვენების შეთვალყურე ნოქარს მოსთხოვა დილის ნ საათზე დუქნის გაღება „საპატმელიო“ განძრავით, ნოქარმა აუხსნა ნოქარ პარაზიტს, რომ დუქნები კანონის ძალით 7 საათამდე არ გაიღებოდა, ესეც

<sup>\*</sup>) ქალტა—პირუტყვა საზაფხულო სამწყდევი.

ხაზინების საქმე იყო და არა ნოქარის, იმედეიშეილიც „მიზეზს“ ეძებდა და ამ განმარტებისათვის დიდხანს სცემა საბრალო ნოქარს, რომლის დროს ხაზინი ალავიძე და სხვებიც ნიშნის მოგებით იყონოდენ და ამბობდენ: „ესეც თქვენი ნორმალური დასვენებაო“. ამბობენ ამ აქტის ჯილდოთ იმდეიშვილს მიენიჭა „გუდების ფელდმარშლობაო“, რომელიც „სოციალიზაციას“ მოახდენს დაინოებზედ.

**დიდი ჯიხაიში.** დიდი ჯიხაიშიდან ფრიად სასიმორნო ამბავს გვწერენ. დანამდვილებით ლაპარაკობენ, რომ ორკლასიანი სასწავლებლის მასა წავლებელი ვლადიმერ სოსელია გადაყავთ უფრო მაღალ ადგილზე<sup>\*)</sup>) ამ ამბავმა უსაზღვროდ გაახარა, როგორც მოსწავლები, ისე მათი მშობლები.

### იაქე.

**ონი.** „შეღავათის“ გამგეობა დიდ ენერგიას იჩენს უსაჭიროეს საგნების შეძენაში. ჯერ-ჯერობით შეიძინა გლეხებისათვის პირველ საჭიროების საგნები: კამფეტები, ბისკვიტები, ირისი, „ვიჩინა“ და სხვ. სიმინდს, მარილს და ნავთს ომის გათავების შემდეგ შეიძენენ.

**იქიდანებ.** ონის მდაბიო საზოგადოება ძლიერ დალონებულია და ოვალურმლიანი დასტირის „ფერშალ“ ამროსი გამყრელიძის მოულოდნელ წასვლას. დღიდან მისი წასვლისა, სამიკიტონებში და სარდაფებში კარტის თამაში მოისპონ და სათამაშო „კაბინეტი“ დაიხურა.

### ეკალი.

## ჭკვიანი კაცი.

— არა, არა ჩემო კარგო!.. გაცხარებული შემომეკათა ჩემი მოსაუბრე... — შენ ცდები... ჩემი მეგობარი არც უპატიოსნოა და არც უკეული. პირიქით, იგი პატიოსანზე უპატიოსნესია და ჭკვიანზე უპატიონესი. ეგ ისე ნათელია, რომ კველის სწამს, გარდა შენისთანა ურწმუნო თომებისა.

— სწორეთ ურწმუნო თომა ვარ და არ შემძლია ვერწმუნო. შენს ლიტონ სიტყვებს. შენ

\* ) სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ილლი-შეიხიბით არა ერთხელ გამასპინძლებიან დიდი ჯიხაიშის საზოგადოებას, მაგრამ ილლიუზია, ყოველთვის ილლიუზით დარჩენილია. ცხალია ხალხს ავიწყდება ჯოჯოხეთის განათების საკითხი.

უკველთვის გაცხარებით ექმაგები მაგ შენს მეგობარს, გააფთრებული იერიშები მიგაქვს მის ცუდათ მხსენებელზე, მაგრამ არა საბუთებით, არამედ ცარიელი სიტყვებით, ვერა, ჩემო ბატონო, ვერ და გიჯერებ, სანამ საბუთებით არ დამარწმუნებ.

— საბუთები?! რამდენიც გნებავს... ერთი გინდა, ორი, სამი, ათი, ოცი თუ ორმოცი...

პირველი საბუთი ის გახლავთ, რომ ჩემი მეგობარი მდიდარი კაცია: მას აქვს ორი დიდი შემოსავლიანი სახლი ქალაქში, დიდ-ძალი ადგილ-მამული სოფლათ და სხვა და სხვა ბანკებში რამდენიმე თით ათასი ნაღდი ფული. მართალია ეს უხვი ქონება მას მამამ დაუტოვა, მაგრამ ეს საქმი-სათვის სულ ერთია.

მეორე საბუთად გამოდგება ის, რომ ჩემს მეგობარს კარგი შემოსავლიანი ადგილი უკავია ერთ საზოგადო დაწესებულებაში. ისიც მართალია, რომ ჩვენში ბევრნი არიან მაგ ადგილისათვის უფრო შესაფერისი პირები, მაგრამ უკვიანი კაცი მით განსხვავდება მრავალ მის მსგავსებისაგან, რომ იგი ახერხებს ადვილათ გაუწიოს მეტოქება თუნდაც უფრო შესაფერ და საქმისათვის სასარგებლო პირთ.

მესამე საბუთი კი ის არის, რომ იგი განათლებული კაცია, უმაღლესი სასწავლებელი აქვს გათავებული; უჭიურ კაცი ამას ვერ მოახერხებდა. თუმცა მისი ყოფილი ამხანაგები ლაპარაკობენ, რომ გინიაზიაში ზარმაც და ჩლუნგ მოწაფეთ ითვლებოდა და თითო კლასში ორ-რი წელი იჯდა, მიუხედავათ იმისა, რომ თავზე თრი და სამი რეპეტიტორი მუდმი ადგა; ლაპარაკობენ იმასაც, რომ სტუდენტობის დროს უმეტეს დროს ქეიფსა და ქალებში ატარებდა, თითო საგანში ორჯელ და სამჯელ იქრებოდა და თავმობეზრებული პროფესორი ბოლოს სამადლოთ სწერდა კარგ ნიშანს, მაგრამ ყველა ამათ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რაკი დაბლომი მიიღო...

ახლა მეოთხე საბუთს მოგახსენებ. მას მეტად ლამაზი, ცერიილა და სიცოცხლით სავსე ცოლი ყავს; მისი ტანი უნიკიერეს მექანდაკის მიერ გას მოკვეთილ ქნდაკებას ჰგავს; კისერი?.. ოოო!.. რა არის მის კისერთან გედის მოღრილი კისერი, ან მის სუჭუჭა თმასთან ძეირგასი გიშერი?!.. მისი სახე, სახე თეთრი ვით ბროლი, ნაზი და ნარნარი მიშჩიდველია, ვით ანდამატი; თვალები კი... ას, მისი თვალები!.. ზღვა არის უძირო, ოკეანე დაუშრეტელი...

ჩემს მოსაუბრეს თვალები ვნებით აევსო, პირის სახეზე ცეცხლის ალი მოედო და მთელი სხეული აუთრთოლდა, ვით საღამოს ნიავის მიერ შერხეული ფოთოლი.

— მეხუთე საბუთი ბრძანეთ, მეხუთე, — გავაწყვეტინე მე, რომ დამევეწყებინა მისოვის მისი მეგობრის ცოლი, მაგრამ უშედეგო გამოდგა ცდა ჩემი.

— აბა რა არის რაფაელის მაცონა ამ ხელთ-უქმნელ შემოქმედებასთან, ამ სილამაზის უსრულეს განსახიერებასთან? — განაგრძობდა იგი მთრთოლვარე ხმით: — ჩემს თვალებს მზგავი არა უნახავს რა. ხოლო ვეღარ დავმალავ იმას, რომ ბუნების ეგუდიალესი და უმშვერიერესი ქმნილება ხანდისხან სხვებსაც ეკურკურება, უმეტესათ იმათ, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ჩემი მეგობრის ეკონომიურ და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე...

— კმარა, კმარა, ჩემო კეთილო, კვლავ გავაწყვეტინე მე: — ეგ უკანასკნელი საბუთი საგსებით ააშეარავებს შენი მეგობრის...

— მოიცა, მოიცა, ჯერ სადა ხარ... მეხუთე საბუთი კიდევ მეტად დაგარწმუნებს, საჩქაროთ განაგრძო მან, თითქო შეშინდა, რომ არ ჩამოესთხოვოდი.

— მეხუთე საბუთი გახლავთ ის, რომ ჩემი მეგობარი პრინციპის კაცია, ღიას პრინციპის. იგი პრინციპიალურათ მომხრეა, დემოკრატიული წესწყობილების, სოციალიზმის და ყოველგვარ თანასწორობის, მაგრამ თუ ამ პრინციპს იგი ცხოვრებაში არ ატარებს, იმისთვის, რომ ამას უკარნახებს „უახლობელესი პრაკტიკიზმი“. დღეს ჩენ არავინ მოგვცემს არც არც დემოკრატიულ წესწყობილებას და არც სოციალიზმს. ეს მან ისე კარგად იცის, როგორც თავაღურის დაბაბაისლობით აღსავსე კიტამ. ჩემი კარგი მეგობარი და თავადი კიტა...

— სრულიად საკმარისია, სრულიად საკმარისი... მეტი არ არის საჭირო... მე თურმე მივჭარავდი, რომ არ მჯეროდა შენი მეგობრის დიდი პეტას კოლოფუბა... იგი ყოფილა უჭივიანესი, გენიოსი, ერთი სიტყვით ყველაფერი რაც გნებავს... ზედი ზედ მივაყარე ჩემს მეგობარს, სწრაფათ მოვარუნდი და დაუშვიდობებლათ გამოვიტე, თორემ ლამის იყო გული წამივიდა მისი საბუთების წყალობით.

## ღმერთო შენ ამოაგდე.

შიმშილობა თბილისში  
სწორედ საოცარია...

ერთ კეირაში ოთხ დღესა  
პურს ვეღარა ვშოულობთ.  
ყურადღებას ვინ გვაძევს,  
თუმცა ვყვირით, ვთხოულობთ,  
ნუგეშის მცემს დავეძებთ,  
მაგრამ ვერა ვპოულობთ,  
ის უმდევრის იმათა,  
ვინც კი გამაძლარია,  
ღმერთო შენ ამოაგდე  
ვინც ქვეყანა არია.

თითქო ღარიბ მცხოვრებელს  
არა ჰყავდეს პატრონი,  
მათთვის პურს გადმოზიდავს  
ძველიათ მფრენი გოდრონი\*)  
ზეცით საზრდო მოუვათ,  
ახლოვდება ეს დრონი.  
ამიტომაც დაჲყარა  
ღვთისა ანაბარია  
ღმერთო შენ ამოაგდე  
ვინც ქვეყანა არია.

თუმცა პურის საცხობი  
გახსნეს ოთხ-ხუთ ალაგსა,  
მაგრამ ესე მცირედით  
გააძლობენ ქალაქსა?  
ამოდენა მიკიტანს,  
ამოდენა დალაქსა...  
განა ოთხი ფურნიდან  
გამოვა საკმარია?

\*) გოდრონი იყო პეტრ ასტრატიო მფრინავი 1884—5  
წლებში... რომელიც დიდუბის მინდვრიდან აფრინდებოდა  
ხოლმე, იმავე დროს მიკიტანი იაკობის აბრაგუნეთ წოდე-  
ბულის ვირი აიყვანა თან.

ღმერთო შენ ამოაგდე  
ვინც ქვეყანა არია.

ნეტავ ხელთ ჩამიგარდეს  
პურის გამძვირებელი,  
რომ იქვე გავათავო  
ის ვერაგი, მზებნელი,  
ამოვართო ქვა გული,  
ოქროსათვის მფეთქელი.

რომ არ ესმის ქვრივ ობლის  
ტირილ-სიმწუხარია  
ღმერთო შენ ამოაგდე  
ვინც ქვეყანა არია.

გთხოვ, ეშმაკო, გაშინჯო  
თბილისის დაეთარია,  
თუ რომ ნახო სიყალბე  
სიმღიდრის სახსარია,  
არ დაზოგო მათრახი  
საცა მოსახმარია,  
ქალაქის მესვეურებს  
თითო გადაჲკარია,  
ვიღრე ღმერთი დასჯიდეს  
ვინც ქვეყანა არია.

ან. განჯის-კარელი.

## მ თ ხ ს ე ნ ე ბ ა

ჭიათურა.

როგორც ამბობენ, ჭიათურაში  
წინა დროდ, თურმე ბედის მდურვაში  
ბეჭუტავდა თურმე ერთი დუქანი,  
ისიც მჟღე ხორცი, არა მსუქანი.  
მაგრამ მას შემდეგ გამრავლდა ხალხი,  
გაჩნდა ვაჭრობა, ფოსტა, სტანცია,  
დაარსდა შტატი პოლიციისა  
და შესაცერი მახინაცია...  
აი ამ დროდან, უბრალო სოფელს,  
დაერქვა დაბა ჭიათურასა,  
მაგრამ შემდგომად ამ ნათელლების  
კვალად ბევრს ვხედავთ მის მომდურავსა.  
ორი წლის წინად, მოგეხსენებათ

საბედისწერო დაიწყო ბრძოლა,  
და როგორც სხვაგან, ისე აქეთაც  
სიძირის ღმერთმა ჩამოიქროლა.  
და საიდუმლოთ აცნობა ვაჭრებს:  
— დარდანელ კარი დაკეტილია  
და ვისაც უყვარს დროის შერჩევა,  
იმისთვის კარგი გაკვეთილია".

ვაჭრებმაც „ყურნი აღავენ სმენალ“  
და სთქვეს: „რადგანაც დაკეტილია,  
გუშინ თუ ღირდა ერთი შაური,  
დღეს ფასი აძევს ათი წილია".

აბა რა ექნა ამ დროს სოფლელ კაცს,  
განა ცხოვრება მას არ სჭირია!

და მიაწერა: კვერცხს, გოჭს და ქათამს:  
„წინანდელ ფასზე ათჯერ ძვირია".

გასჭირდა საქმე ვაჭრუკანების  
და შეიკრიბნენ თურმე ერთადა:

— ნუ გვინდა კვერცხი, ბატი, ქათამი...  
გაიძახოდა ყველა ერთხმადა.  
მაგრამ გაიგეს ეს სოფლელებმა  
და გაუქარწყლეს გამოცდილება:

როგორც ამბობენ უმთავრეს წილად  
როსტომის, პეტრეს, კოსტას ქმნილება.

ჭიათურელი სფუძვი.

**ს. ლიხაური.** (გურია).

ეშმაკ თხოვნას ვწერ დასახმარებლათ,  
(ღმერთი არ გვწყალობს, საქმე წაგვიხთა)  
და ეს წერილი მისწვდეს თუ არა,  
იმწამსვე გაჩნდეს მუნ მათრახითა.

ჩვენში საქმებს არა უშავს რა,  
კვეხით არ ვიტყვი, ბევრს სხვას სჯობია,  
მაგრამ აქაც გვყვას ისეთი ხალხი,  
საქმენი ვისიც დასაგმობია.

ეს — მას ეხება აქ ლაპარაკი,  
ვინაც სოფელი არივ-დარია  
თხოვნა მიართვა სადაც ჯერ იყო,  
საყალთაბანდო მოსუო შარია.

და თვით საღი ქვა სოლომონ ბრძენის  
დღეს მას გაუწევს მარჯვენ ხელობას  
ზე პროფესორი ცრუ-მოწმეობის  
არ ერიდება მავნე ხელობას.

ნანა.

ბ. ეშმაკ! იმედია, შენ ამ „ვეენობის“ ღროს  
ტარტაროზობაც მიღებული გექნება, მარა რავაც  
გავს არ გაკვირებს ჩინ-ტემლაკები და არ ამხელ,  
თვარა რავა დევიჯერებ, აქანე ყველე უჩენიკი პრა-  
პორშჩიკი გახთა. რაც თვალს ვადევნებ შენს ამბავს  
სულ ვოინში ხარ ჩამული და არც ერთი ოტსტუ-  
პლენიე არ გიქნია ჯერ. მართალია დიდი ღირსება  
გაქ—თეთრ და შავ ზღვაძლე გიჭირავს ფრონტი  
და „სმირნაზედ“ გყავს გამოყვანილი ყველა ცრუ  
და თაღლითი პირები, მარა როგორც ვაკვირდები  
საცხა რეინის გზები უდგება, იქ უფრო ჩეარ-ჩეარა  
უტკაცუნებ მათრახებს და საქვერთო გზებზე კი  
უფრო გვიან-გვიან—ამიზა გეხვეწები უმორჩილე-  
სად ჯერ რეინის გზა არ არის, მაგრამ მაინც ნუ  
მოაკლებთ თვენს კურთხეულ დაბა ხონს შენს  
მათრახს. ნეტა იცოდეთ როგორ ეშინიათ... ხო-  
ნელები ისე არიენ ბაქიები, თორემ ერთი ტყულა  
რომ უხსენია შენი „ტარ-ჯურთხეული“, მოგეცა  
დღეგრძელობა შენცა და შენს ამალას, მაგრი მიი-  
მაღლებიენ ხვრელში.

ამიზა გთხოვ მიიღო ჩემი თხოვნა, და თუ შე-  
გატყობინო, გამომაქნიე მათრახი ხონისკენაც. ტყუ-  
ლი გარჯა არ მოგელის, მაგალითად: მათეს ბანკი,  
პელიოდის ბანკი, „ზეირთა“-ს ლეგიონი, დოხტურე-  
ბი, ფოშტა, გემნაზიის მესვეურები, მამასისხლისი  
მებუკე, ხონელი ვაჭრები, სახელოსნო სკოლის  
„უჩიტელი“, კომპერაცია და კერძოთ ყველა მო-  
ელის მას... ამ ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულე-  
ბაზე და პირებზე ყოველ კვირას სულ ნომრობით  
გაგიკეთებ „ხონის ამბებს“ სათაურით დანეხენიეს,  
თუ თქვენი უტარტაროზობა ნებას დამრთავს.

მთხოვნელი ქოპინა კვანტილასც ჩხუთაძე.

**დაბა აბაშა.**

ისემც მეხი დაეცეს  
შენს აფის მოსურნესა,  
როგორც ჩვენ ვერ ველირსოთ  
დანაპირებ ფურნესა.

წელიწადი სრულდება

რაც მოკრიბეს ქანქარი...

ველით, მაგრამ არსად ჩანს,

ნეტავ ფურნე სად არი?

ამდენი სიგვიანე

თუ კია დასაძრახი,

მოგვაშველე, ეშმაკ,

კურთხეული მათრახი.

ლენცოფა.

## აღაპი

ერთ დიდ ოჯახში ძველებურ დროში  
(როცა არ სკირდა ოქრო და გროში),  
ოჯახის მამა გახდა ავათა,  
ლეკრიც<sup>1)</sup> მოიხმეს სანახათა.

მარა სიკვდილმა სიცოცხლეს სძლია  
და ავათმყოფიც გადაითრია.

შეიქნა გლოვა ძველი წესითა  
თელოს<sup>2)</sup> პროგრამის უკეთესითა,  
გაშალეს ტაბლა აღაპებისა  
საკურთხ-არჩივი მოძღვრის ნებისა.  
უმთავრესია აღაპში პური,  
დროზე არავინ ათხოვა ყური,  
რომ მოახწია დრო აღაპისა  
ხევის კაცებმა<sup>3)</sup> გაშალეს ქისა,  
მარა მოტანა არ ესწრებოდა  
და გასაჭირიც ამას ყველოდა.  
მეტულეს<sup>4)</sup> სთხოვეს დაგვეხმარეთო  
და პურის საქმე მოაგვარეთო.  
ხმალაძე იყო მეტულე ესა,  
პურის მოტანა მან გააწესა.  
მიანდო ნაცნობ კურდელაძესა  
და პურიც გაჩნდა მესამე დღესა.  
მარა საქმეა ნაყიღობაზე  
ყიდვა ყოფილა თურმე ნდობაზე  
და უყიღიან იმდენზე ძირიათ,  
რომ ეს ოჯახი დალუპვის პირათ  
მიუყვანიათ ხელოვნურათა  
და მოსაგებიც გაჰყვეს ძმურათა.

ბუტუნა.

## შერილები რედაქციას

პასუხათ ბ-ნ უ.—ნს.

„ეშმაკის მათრახის“ მე-6 ნომერში ბ. უ—ნის  
საპასუხო წერილი არის მოთავსებული. თქვენს წი-  
ნადადებაზე, საქმის გარჩევა თუ სად უნდა მოხ-  
დესო, შემდეგს მოგახსენებთ. საქმე იქ უნდა გა-  
იჩიჩეს, სადაც ინციდენტი მოხთა, ე. ი. აცანაში.  
რადგანაც მე შეიძლება, ჩემდა დამოუკიდებელ მი-  
ზეზების გამო, საქმის გარჩევას ვერ დავესტრა, ამი-

სათვის ჩემს მაგიორ რწმუნებულათ გნიშნავ ბ-ნ  
ბესარიონ და ნესტორ მგელაძებს, რომლებსაც შე-  
გიძლიათ ბ. უ-ნო ამცნო დრო და თქვენ მედია-  
ტორეთა ვინაობა. ჩემს მედიატორების ვინაობასაც  
ისინი გაცნობენ.

ნოე ზგელაძე.

ბ. რედაქტორო

„ეშმაკის მათრახის“ მე-14 ნომერში მოთავ-  
სებული იყო სუფსიდან წერილი ბ-ნი „სოკო-  
კვერცხის“. ზოგიერთები თავს შეურაცყოფილათ  
სთვილიან და ექტენ ავტორის ვინაობას. იქვი ჩემ-  
ზედაც მოიტანეს. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ  
გამოაცხადოთ, რომ წერილი მე არ მეცუთონის\*).

პატივისცემით ჯ. ტულუში.



„ეშმაკის მათრახის“ რედაქტორია ამით აცხადებს,  
რომ უსახელო ავტორებისა და უცნობ პირთა  
წერილები უურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენციის ვინაობას და  
წერილში აღნიშულ ამბის სისწორეს უნდა ამოწ-  
მებდეს ვინმე რედაქტორისათვის სანდო პირი.

სარედაქტოი წერილი უნდა დაიწეროს ქა-  
ლალდის ცალ გვერდზე და ყაველ აღნუსხულ ამ-  
ბავს თან ახლდეს საჭირო ასხა-განმარტება.

რომ სარედაქტოი წერილი რედაქტორიში მოს-  
კლამდე რა გახსნან, საჭიროა კონვერტზე აღრესის  
შემდეგ დაწერილოს: „ეშმაკის მათრახისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქტორია არ იხსნის და  
დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

**ჭიითურელ სტუმარს.** როცა თქვენ წაიკით-  
ხავთ ამ ნომერში დაბეჭდილ ლექსს და შეადარებთ  
ორიგინალს, აშერა იქნება, თუ რასთვის ვერ  
გვეკდავთ დანარჩენ ორ ნაწარმოებს.

**ფოთელ ნაცნობს.** შემოკლება არ მოხერხდა,  
რადგან წერილი ძლიერ გრძელი და ჩვენი უურნა-  
ლისათვის მიუსაღებელია.

**ბ-ნ ქ. ლ-ს.** თქვენი წერილი „თაზოს დასაფ-  
ლოვების“ გადათვალიერებლის შემდეგ საბოლოოთ

\* არა.

1) ლეკრი—ძველათ გამოჩენილი ექიმი (გურიაში)

2) თელო უორდანია, რომელიც აღაპებს იცავს.

3) ხევის კაცები—ჭირისუფლები, მეგვარებები (გურიაში)

4) მეტულე—აღაპში პურის მერიგე.

გამოირკვა საჭიროება „თაზოს დასაფლავების“ და-  
საფლავებისა, რაც მოხდა ეშმაკის თანადასწრებით  
ამი წლის 18 მაისს, ეგრეთ წოდებულ „პანთეონში“,  
ანუ, როგორც ჩვეულებრივ ეძახიან „სარედაქციო  
კალათში“.

ლოდვითელ ეშმაკს პ-ს. თქვენი ლექსი გრძე-  
ლიც არის და მოკლეც. გრძელია სივრცით, მოკ-  
ლე შინაარსით. გლახა ნაეშმაკევია.

**ბ-6 ჭა-ს.** თქვენა სწერთ ეშმაკს:

„გავიგე თქვენი გმირობა  
მათრახებსა წენით მწარესა,  
ერთი საკუთრად მოხმარდეს  
„უწყოტეს“ გედიკარელსა.“.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ იქნება იმ „უწყი-  
ტეს“ წენიანი არ უყვარს. აქა და კარტის თა-  
მაში უყვარსო, ყველაფერი ხომ არ უყვარება.

კინოთელ ჯანგიროზას. ერთობ ორიგინა-  
ლურია თქვენი ლექსი: „შერთველ მეომარ გმი-  
რებს“, მეტადრე ეს აღვილი:

„მეც კი მინდა მოგეხმაროთ,  
მაგრამ ერთსად გხედავ თვალით,  
გერ გაშორებთ წერეულ მტრებსა  
და ერ გვუწავ სანჯალ-ხმალით,  
გერ გასეგენბ იმის გამო,  
დამძის მუდამ ცრუერენაკადი,  
ძალშიც გული შევბება:  
ნახე გმარნა, მათთან წადი.  
არ შეშინდეთ ჩემს მოსელამდა“...

სირცევილი თქვენი, რომ ამ ლექსის დაწერამ-  
დე არ წალით. ახლა მაინც ნულარ დაგვიანებთ;  
გახსოვდეთ, რომ თქვენი წასელით იქ ჯარისკა-  
ცებს დაუკარგავთ შიშს და აქ ჩვენ.

**ორ ტიკჭორას.** მივიღეთ თქვენი ლექსი: „ზო-  
სენება ხონის ბულვარდიდან“, რომელიც ასე  
იწყება:

„ბატონ ეშმაკ ნუ მჭითხეს,  
ხონის ბულვარდის აბაკესა,  
მე ანუდნულსა წამსდარსა  
არ შეეხედრიგართ ამგვარსა.  
დორები შიგნით ბევრია  
და მიწას ჩუღვნენ უფერ დღეს  
მცველები არავინ არის  
და დარებს არავინა სდევს“..

ვიღას უსაყვედურებთ, ან რას ელოდებით,  
ეცადეთ იშოვოთ ეს აღვილი.

## სახალხო საჯლი.

ღათსშაბათს, 1 ივნისს 1916 წ.

ქართველ მახიობთა მიერ წარმოდგენილი იქ-  
ნება პირველად ქართულ სცენაზე სახელ განთქმუ-  
ლი პიესა ბერნუტეინისა.

I

## ურის სისტემა

3 მოქმედებათ.

აგნესას როლს შეასრულებს ქ-ნი ნ. დავი-  
თაშვილი. ტიბოს — ბ-ნი ი. ზარდალიშვილი.

II

## ვაი ყობოს

1 მოქმედებათ.

ბილეთები ამ თავათვე იყიდება თეატრის კა-  
საში.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

გვირას 5 ივნისს 1916 წ.

სახალხო სახლის სცენის-მოყვარეთა მიერ ნ.  
ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი  
იქნება

## ერთ ყლამოს ღრი პიას

I

ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული  
3. ირეთელის მიერ.

## ქრისტინე

ღრ. 4 მოქმ.

## რაც გინახავს ველარ ნახავ

კომ. 3 მოქმ. ა. ცაგარლისა.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.  
აღგილების ფასი 5—49 კ-მდე.

გამგე ალ. ბადრიძე.

# ი მეგინათა მეტთხვევა!

გასაბოცორის სისწროვით,

უმაგალითო მოსერხებით,

გმირული თაგანწირულებით და

## სოულისა

## უსასეირლოდ

### ვამცვრევი ავორობილებს,

განუჩეულად სისტემისა,

სიღიღისა,

და ღირებულებისა.

მიმართეთ თფ. განმანაზ. ლაზარეთში.